

IV



ზოგადი უნარების მესტი

2008

ინსტრუქცია

ტესტი შედგება ორი – კერძალური და მათემატიკური – ნაწილისაგან.

თითოეული ნაწილი 50 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ყურადღებით წაიკითხეთ დავალებათა ინსტრუქციები, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ თითოეულ დავალებაში და შემდეგ აირჩიეთ პასუხი.

არჩეული პასუხი აუცილებლად მონიშნეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც ახლავს ტესტს (შესაბამისი ინსტრუქცია იხილეთ პასუხების ფურცელზე).

ტესტის ფურცლებზე მონიშნული პასუხები არ შემოწმდება. ზოგადი უნარების ტესტირების შედეგი დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ პასუხების ფურცლის საფუძველზე.

ტესტის თითოეულ ნაწილზე სამუშაოდ გემლევათ 1 საათი და 30 წუთი.

დროის ამოწურვის შესახებ გაცნობებთ მეთვალყურე.

თუ გათვალისწინებულზე მეტი დროით შეყოვნდებით ტესტის ამა თუ იმ ნაწილზე, თქვენი ნაშრომი არ შემოწმდება.

თუ არ გაქვთ რომელიმე დავალების პასუხი, დროს ნუ დაკარგავთ და გადადით შემდეგ დავალებაზე.

ჩანაწერების ან ნახაზებისათვის გამოიყენეთ მხოლოდ და მხოლოდ ტესტის ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

გისურვებთ წარმატებას!

ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარჩევული მიმართება. დააღვინეთ, რა სახისა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება გამუჯებულ სიტყვათა ურთიერთშიმართების მხგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

1. დედამიწა : გლობუსი

- (ა) მუსიკალური ბგერა : მელოდია
- (ბ) ადამიანის სახე : პორტრეტი
- (გ) ისტორიული მოვლენა : მემორიალი
- (დ) გაკვეთილების განრიგი : დღიური

2. ძილი : გაღვიძება

- (ა) ქარი : ფოთოლცვენა
- (ბ) წვიმა : გამოღარება
- (გ) ქუჩილი : გაელვება
- (დ) ჭინობა : აყვავება

3. ლურსმანი : ლურსმული დამწერლობა

- (ა) ჭვარი : გზაჯვარედინი
- (ბ) ფრთა : თვითმფრინავი
- (გ) ფსკერი : უფსკრული
- (დ) დაბა : უდაბნო

4. მეტყველება : ინტონაცია

- (ა) ავეჯი : სავარძელი
- (ბ) სოლო : ღუეტი
- (გ) ხილი : არომატი
- (დ) გაკვეთილი : ნიშანი

5. ცხენი : ალვირი

- (ა) ვერტმფრენი : პროპელერი
- (ბ) ორთქლმავალი : ორთქლი
- (გ) თვითმფრინავი : საჭე
- (დ) გემი : ანძა

6. ბრძოლა : დუელი

- (ა) მიტინგი : დემონსტრაცია
- (ბ) მსჯელობა : განხილვა
- (გ) ონტერვიუ : დიალოგი
- (დ) შეხვედრა : პარტნერი

7. კვერცხი : ქათამი

- (ა) წყალი : ლრუბელი
- (ბ) მიწა : ტალახი
- (გ) ცეცხლი : ნაცარი
- (დ) ჰაერი : ქარი

8. არქიტექტორი : ინჟინერი

- (ა) სპონსორი : მეცნატი
- (ბ) პროდიუსერი : მენეჯერი
- (გ) კომპოზიტორი : დირიჟორი
- (დ) გამომცემელი : რედაქტორი

წინადაღებების შევსება

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადაღებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადაღებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (//) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულობად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ აღვილებში აზრობრივად გამართულ წინადაღებას მოგვცემს.

9. მოღა ყოველთვის გულისხმობს დამკვირვებელს, გარეშე თვალს. აუდიტორიას კი არ უნდა ----- , არამედ უნდა ----- მოღა. ----- ის ----- .

- (ა) აღაშფოთებდეს / მოსწონდეს / მხოლოდ აღშფოთებული პუბლიკის პირობებში ასრულებს / თავის ფუნქციას
- (ბ) აღაშფოთებდეს / მოსწონდეს / დადებითად განწყობილი პუბლიკის პირობებში / კარგავს თავის მნიშვნელობას
- (გ) მოსწონდეს / აღაშფოთებდეს / მხოლოდ დადებითად განწყობილი პუბლიკისთვის ასრულებს / თავის ფუნქციას
- (დ) მოსწონდეს / აღაშფოთებდეს / აღშფოთებული პუბლიკის გარეშე / კარგავს თავის მნიშვნელობას

10. ტექნიკის მიღწევები აღიქმება, როგორც ----- მოღვაწეობის შედეგი. ამიტომაა, რომ ავტომობილის მარკას იმახსოვრებენ ----- მიხედვით, ----- ფერწერული ტილო ----- მისი ავტორის სახელთან.

- (ა) ცნობილ პიროვნებათა / ფირმისა და მოდელის / მაშინ, როდესაც / ყოველთვის ასოცირდება
- (ბ) ანონიმურ პიროვნებათა / ფირმისა და მოდელის / მაშინ, როდესაც / ყოველთვის ასოცირდება
- (გ) ცნობილ პიროვნებათა / ინჟინერ-გამომგონებლის სახელის / და, ანალოგიურად, / ყოველთვის როდი ასოცირდება
- (დ) ანონიმურ პიროვნებათა / ინჟინერ-გამომგონებლის სახელის / და, ანალოგიურად, / ყოველთვის როდი ასოცირდება

11. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა მითის, როგორც ისტორიული წყაროს გამოყენების შესახებ, ----- ამ იდეის ----- კი ----- იმას, რომ, თუ ყოველთვის არა, ზოგჯერ მაინც ზეპირსიტყვიერი ეპოსი ----- .

- (ა) თუმცა, / მომხრენიც / აღიარებენ / ინახავს მოგონებას რაღაც მნიშვნელოვანი, რეალურად განხორციელებული მოვლენის შესახებ
- (ბ) რის გამოც / მომხრენიც / ვერ უარყოფენ / ავლენს რეალობის მითოლოგიზების ტენდენციას
- (გ) თუმცა, / მოწინააღმდეგენიც / ვერ უარყოფენ / ინახავს მოგონებას რაღაც მნიშვნელოვანი, რეალურად განხორციელებული მოვლენის შესახებ
- (დ) რის გამოც / მოწინააღმდეგენიც / აღიარებენ / ავლენს რეალობის მითოლოგიზების ტენდენციას

12. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ამ ექსპერიმენტში ცდისპირები ----- ჯგუფურ ზეგავლენას, არამედ ----- ჯგუფის წევრთა ----- .

- (ა) არა მხოლოდ ეწინააღმდეგებოდნენ / არ ერიდებოდნენ / ზემოქმედებისთვის წინააღმდეგობის გაწევას
- (ბ) არათუ არ ემორჩილებოდნენ / არ ერიდებოდნენ / მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულების შეცვლას
- (გ) არათუ არ ეწინააღმდეგებოდნენ / ცდილობდნენ / აზრის იგნორირებას
- (დ) არა მხოლოდ ემორჩილებოდნენ / ცდილობდნენ / მხრიდან დადებითი შეფასების დამსახურებას

13. პეგელმა ისტორია განიხილა, როგორც ----- და არა, როგორც ----- ყოველი ავტორი, რომელიც ისტორიაში ----- ხედავს და არა მხოლოდ ----- , პირდაპირ ან არაპირდაპირ ----- პეგელის თეორიას.

- (ა) აზრიანი პროცესი / ფაქტების გროვა. შესაბამისად, / კანონზომიერ განვითარებას / შემთხვევითობას ან წრებრუნვას / ეყრდნობა
- (ბ) ფაქტების გროვა / აზრიანი პროცესი. ამიტომ / კანონზომიერ განვითარებას / შემთხვევითობას ან წრებრუნვას / ეყრდნობა
- (გ) აზრიანი პროცესი / ფაქტების გროვა, თუმცა, / შემთხვევითობას ან წრებრუნვას / კანონზომიერ განვითარებას / უპირისპირდება
- (დ) ფაქტების გროვა / აზრიანი პროცესი. ამიტომ / შემთხვევითობას ან წრებრუნვას / კანონზომიერ განვითარებას / უპირისპირდება

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიაღვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

14. ოთახის სამ კედელზე ორ-ორი ნახატი კიდია. თითოეული ნახატი შესრულებულია აკვარელით, გუაშით ან პასტელით.

- პირველ კედელზე კიდია ერთი სახის, ხოლო დანარჩენ ორზე – სხვადასხვა სახის საღებავებით შესრულებული ნახატები
- მეორე კედელზე არც ერთი ნახატი არაა შესრულებული აკვარელით
- მესამე კედელზე ერთი ნახატი პასტელითაა შესრულებული

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ამა თუ იმ საღებავით შესრულებული ნახატების განაწილების რომელი ვარიანტი აკმაყოფილებს ამ პირობებს?

I კედელზე

- (ა) პასტელით, პასტელით
(ბ) პასტელით, აკვარელით
(გ) გუაშით, გუაშით
(დ) აკვარელით, აკვარელით

II კედელზე

- აკვარელით, პასტელით
პასტელით, აკვარელით
გუაშით, პასტელით
პასტელით, გუაშით

III კედელზე

- გუაშით, პასტელით
აკვარელით, აკვარელით
აკვარელით, გუაშით
პასტელით, გუაშით

15. ახალგაზრდა ექიმმა შენიშნა, რომ A და N პაციენტთაგან, რომლებსაც ერთი და იგივე დაავალება აწუხებდათ და ერთი და იგივე მედიკამენტები ჰქონდათ დანიშნული, A გაცილებით უფრო ადრე გამოჯანმრთელდა, ვიდრე – N. გამოჯანმრთელების განსხვავებული ტემპი ექიმმა იმით ახსნა, რომ A პაციენტი უფრო მკაცრად იცავდა მკურნალობის რეზის, ვიდრე – N პაციენტი.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი აყენებს ~~უფრო~~ ექიმის ამ მოსაზრებას?

- (ა) A პაციენტს უფრო ძლიერი იმუნური სისტემა ჰქონდა, ვიდრე – N პაციენტს
- (ბ) N პაციენტმა ექიმს უფრო ადრე მიმართა, ვიდრე – A პაციენტმა
- (გ) N პაციენტი უფრო ოპტიმისტურად აფასებდა თავისი გამოჯანმრთელების შესაძლებლობას, ვიდრე – A პაციენტი
- (დ) A პაციენტისგან განსხვავებით, N პაციენტი, ექიმის მიერ გამოწერილი მედიკამენტების გარდა, მრავალგზის აპრობირებულ ჰომეოპათიურ საშუალებებსაც იღებდა

16. მოცემულია:

- ზოგიერთი მოლეკულა არასტაბილურია

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ამ დებულების ტოლფასი?

- (ა) ყოველი მოლეკულა არაა არასტაბილური
- (ბ) არსებობს სტაბილური მოლეკულები
- (გ) ყველა მოლეკულა არ არის სტაბილური
- (დ) ზოგიერთი რამ, რაც სტაბილურია, არ არის მოლეკულა

17. არჩილი, დიმიტრი და ირაკლი ასწავლიან ქიმიას, ბიოლოგიას და ისტორიას ქუთაისის, გორისა და თელავის უნივერსიტეტებში. ცნობილია, რომ:

- არჩილი არ მუშაობს ქუთაისში
- დიმიტრი არ მუშაობს გორში
- ის, ვინც ქუთაისში მუშაობს, არ ასწავლის ისტორიას
- ის, ვინც გორში მუშაობს, ასწავლის ქიმიას
- დიმიტრი არ ასწავლის ბიოლოგიას

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული ამ მონაცემების თანახმად?

ირაკლი ასწავლის:

- (ა) ქუთაისში ისტორიას
- (ბ) ქუთაისში ბიოლოგიას
- (გ) თელავში ისტორიას
- (დ) გორში ქიმიას

18. დავუშვათ, რომ:

- ყველა გენეტიკოსს უყვარს ფანტასტიკური ჟანრის ლიტერატურა
- ზოგიერთ თანამედროვე ბიოლოგს არ უყვარს ფანტასტიკური ჟანრის ლიტერატურა

თუ ეს დებულებები ჭეშმარიტია, მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი?

- (ა) ფანტასტიკური ჟანრის ლიტერატურის მოყვარული ზოგიერთი თანამედროვე ბიოლოგი არ არის გენეტიკოსი
- (ბ) მხოლოდ გენეტიკოსებს უყვართ ფანტასტიკური ჟანრის ლიტერატურა
- (გ) ზოგიერთი გენეტიკოსი, რომელსაც უყვარს ფანტასტიკური ჟანრის ლიტერატურა, თანამედროვე ბიოლოგია
- (დ) მხოლოდ გენეტიკოსები არიან თანამედროვე ბიოლოგები

წაკითხული ტექსტის გააზრება

უფრადოებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიღანკორ აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართვულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ხმელეთის მნიშვნელოვანი ნაწილი უდაბნოს, ყინულის საფარსა და მთებს უჭირავს. ნაყოფიერი მიწა (ანუ მიწა, რომელიც ვარგისია მოსავლის მოსაყვანად) შედარებით იშვიათია. ახალი მიწების ათვისების საკითხი ძალზე აქტუალურია. მიწების ათვისება ორი გზითაა შესაძლებელი: წყლით დაფარული, ჭაობიანი ნიაღაგის ამოშრობით და გამოუსადეგარ, მეტისმეტად მშრალ მიწაზე საირიგაციო სისტემის მოწყობით.

მიწის ათვისებას, ნაყოფიერი ნიაღაგის წარმოქმნის გარდა, სხვა დადებითი მხარეებიც აქვს. საუკუნეების განმავლობაში რომთან ახლოს მდებარე პონტინის ჭაობი დაუსახლებელი იყო. ის, დაახლოებით, ძვ.წ. 300 წელს გაჩნდა, სავარაუდოდ, მიწისძვრის შედეგად, რამაც ზღვის მიმდებარე ტერიტორიის აწევა გამოიწვია და ზღვაში მდინარეების ჩადინება შეაფერხა. მრავალი საუკუნის განმავლობაში ამ ჭაობის დაშრობის ყველა მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. საბოლოოდ, 1920-1930-იან წლებში, განახორციელეს გრანდიოზული მელიორაციული* პროექტი, რის შედეგადაც მდინარეების წყალი, რომელიც ვრცელ ტერიტორიებს ტბორავდა, დღესდღეობით უზარმაზარ არხებში მოედინება. აღრე უვარების მიწაზე ხუთი ქალაქი გაშენდა.

უდაბნოს, საღაც მცირე რაოდენობის ნალექები მოდის და, შესაბამისად, ცოტა მცენარე ხარობს, ხმელეთის ერთი მეშვიდედი უკავია. უდაბნოს ზოგიერთი ნაწილი იმდენად მშრალია, რომ იქ მცენარეები საერთოდ არ იზრდება. უდაბნოს ათვისების ერთადერთი გზა საირიგაციო სისტემის მოწყობაა. ახლო აღმოსავლეთში სარწყავ ტექნოლოგიას რამდენიმე ათასი წლის წინაც იყენებდნენ. ეგვიპტეში, მესოპოტამიაში, ჩინეთსა და ინდოეთში ამგვარი სისტემები არსებობდა უკვე ძვ.წ. III ათასწლეულში. ირიგაციის უმარტივესი მეთოდია არხით წყლის მიყვანა მდინარიდან ან მტკნარწყლიანი ტბიდან სამეურნეო მიწის ნაკვეთამდე. ამ მეთოდის გამოყენება მხოლოდ ისეთ ტერიტორიებზეა შესაძლებელი, საღაც წყლის რეზერვუარი უფრო მაღლა, ვიდრე – სარწყავი ნაკვეთი. ეგვიპტეში ყოველწლიურად, როდესაც ნილოსი დიდდებოდა, აღიდებულ წყალს სპეციალურად აგებულ საგუბრებში აგროვებდნენ და შემდეგ მინდვრების მოსარწყავად იყენებდნენ. 1968 წლიდან მდინარე ნილოსის დინებას არეგულირებს ასუანის კაშხალი, რომელიც აღიდებული მდინარის წყალს ხელოვნურად შექმნილ ტბა ნასერში აგროვებს. ირიგაციული სისტემის მოწყების შედეგად ეგვიპტეში სოფლის მეურნეობის პროცესების წარმოება გაორმაგდა.

უდაბნოს ტერიტორიაზე, მაგალითად, ისრაელში ნეგევისა და აფრიკაში საპარის უდაბნოში, ასევე – ავსტრალიის დიდ უდაბნოში არსებობს მიწისქვეშა წყლის უზარმაზარი ბუნებრივი რეზერვუარები. ზოგიერთ ადგილს მიწისქვეშა წყალი წყალგაუმტარ ქანებს შორისაა მოქცეული და, ჭის გათხრისას, მაღალი წნევის ზემოქმედებით ზედაპირზე ამოდის, ხშირად – მძლავრი შადრევნის სახით. ასეთ ჭას არტეზიული ეწოდება. თუმცა, არტეზიული ჭები იშვიათად გვხვდება. უდაბნოში წყალი, როგორც წესი, უნდა ამოიტუმბოს.

ნიაღაგის ათვისებისთანავე ჩნდება მისი დაცვის აუცილებლობა, რაც გულისხმობს ნიაღაგზე წვიმის, მომდინარე წყლისა და ქარის ზემოქმედების შემცირებას, რაღაც ამ ფაქტორთა ზეგავლენით ვითარდება ნიაღაგის ეროზია. ეროზისგან ნიაღაგს ბალახის საფარიც იცავს და მისი ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

*მელიორაცია – ღონისძიებათა სისტემა, რომლის დანიშნულებაა მიწის ბუნებრივი (სამეურნეო საქმიანობისთვის არახელსაყრელი) მდგომარეობის გაუმჯობესება მისი ნაყოფიერების გაზრდის მიზნით.

19. რა მიმართებაა I და II აბზაცებს შორის?

- (ა) I აბზაცში წამოჭრილია პრობლემა, II აბზაცში კი აღნიშნულია შედეგი, რომელიც ერთ შემთხვევაში ამ პრობლემის მოგვარებას მოჰყვა
- (ბ) I აბზაცში აღწერილია ფაქტები, II აბზაცში კი შემოთავაზებულია ამ ფაქტების განსხვავებული შეფასებები
- (გ) I აბზაცში განხილულია პრობლემის მოგვარების ორი გზა, II აბზაცში კი მოთხრობილია ერთ-ერთის გამოყენების წარუმატებელი მცდელობა
- (დ) I აბზაცში წარმოდგენილია აქტუალური საკითხის ორი ასპექტი, II აბზაცში კი დეტალურადაა აღწერილი მეთოდი, რომლითაც შესაძლებელია ამ საკითხის გადაწყვეტა

20. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წინადაღება გამოხატავს ქვ. წ. 300 წელს მომხდარი მიწისძვრის შედეგებს?

- (ა) ზღვის სანაპიროს რელიეფის ცვლილებამ შეაფერხა მდინარეთა ჩვეული დინება
- (ბ) წყალი, რომელიც ვრცელ ტერიტორიას ტბორავდა, დღესდღეობით არხებში მიეღინება
- (გ) ზღვის მიმდებარე ტერიტორიის აწევის შემდეგ შესაძლებელი გახდა მელიორაციული პროექტის განხორციელება
- (დ) პონტინის ჭაობის დაშრობის შემდეგ დაუსახლებელ მიწებზე გაშენდა ახალი ქალაქები

21. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ დასტურდება ტექსტში? ირიგაციის უძარტივესი მეთოდი:

- (ა) ითვალისწინებს წყლის ბუნებრივი რეზერვუარიდან სარწყავ ნაკვეთამდე არხით წყლის მიყვანას
- (ბ) აუცილებლად გულისხმობს რეზერვუარის არსებობას ისეთ ადგილას, რომელიც მოსარწყავ ნაკვეთზე უფრო მაღლაა
- (გ) წარმოადგენს უდაბნოს ათვისების აუცილებელ წინაპირობას
- (დ) არ ითვალისწინებს სპეციალური საგუბრების აგებას

22. ტექსტში მოყვანილი ასუანის კაშლის მაგალითი:

- (ა) წარმოაჩენს ირიგაციის უძველესი მეთოდების ნაკლოვან მხარეებს
- (ბ) გამოკვეთს თანამედროვე სარწყავი ტექნოლოგიების ეფექტურობას სამეურნეო საქმიანობისთვის
- (გ) ხაზს უსვამს უდაბნოში წყლის ხელოვნური რეზერვუარების შექმნის აუცილებლობას
- (დ) ცხადყოფს მტკნარწყლიანი ტბების საირიგაციო გამოყენების მნიშვნელობას

23. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წინადაღებაა მართებული?

IV აბზაცში საუბარია:

- (ა) არტეზიულ წყლებზე, რომელიც უდაბნოში უნდა ამოიტუმბოს
- (ბ) მიწისქვეშა წყლის რეზერვუარებზე, რომლებიც მაღალი წნევის ზემოქმედებით ყოველთვის წარმოქმნის ბუნებრივ შადრევანს
- (გ) წყალგაუმტარ ქანებს შორის მოქცეულ ჭებზე, რომლებიც მრავლად გვხვდება ისრაელის, აფრიკისა და ავსტრალიის უდაბნოებში
- (დ) წყლის მიწისქვეშა ბუნებრივ რეზერვუარებზე, საიდანაც წყალს სხვადასხვა მეთოდით მოიპოვებენ

24. არსებობს ტერმინი „ირიგაციული ეროზია“. რას შეიძლება ნიშნავდეს ეს ტერმინი?

- (ა) ნიადაგის დაშლასა და ჩამორეცხვას წვიმისა და გამდნარი თოვლის წყლით
- (ბ) ბალაზის საფარის ინტენსიურ რწყვას, რაც ზემოქმედებს ნიადაგის ნაყოფიერებაზე
- (გ) არასწორი რწყვის შედეგად განვითარებულ პროცესებს, რაც იწვევს ნიადაგის სტრუქტურის გაუარესებას
- (დ) ნიადაგზე მომდინარე წყლის მარეგულირებელი წყალგამტარი კვლების მოშლის შედეგად განვითარებულ პროცესებს

25. რა არის მოცემული ტექსტის დანიშნულება?

- (ა) ეგვიპტური და ძველაღმოსავლური საირიგაციო სისტემის შედარება თანამედროვე სისტემებთან
- (ბ) ჭაობიანი ნიადაგისა და უდაბნოს მელიორაციისთვის გამოყენებული მეთოდების საერთო პრობლემატიკის გამოკვეთა
- (გ) ნიადაგის ეროზის განმაპირობებელი ფაქტორებისა და მათი თავიდან აცილების მეთოდების განხილვა
- (დ) სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში გამოყენებული მელიორაციული ღონისძიებების მიმოხილვა

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარჩევული მიმართება. დააღინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაულო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება გამუჯებულ სიტყვათა ურთიერთშიმართების მნიშვნელის მიმართება (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

26. თხილის გული : ნაჭუჭი

- (ა) მეომარი : ფარი
- (ბ) კოსმონავტი : სკაფანდრი
- (გ) მოტოციკლისტი : ჩაფხუტი
- (დ) მყვინთავი : აკვალანგი

27. არქეოლოგიური გათხრები : მუზეუმი

- (ა) წისქვილი : თონე
- (ბ) კულისები : სცენა
- (გ) კალო : ბეღელი
- (დ) საბადო : სამჭედლო

28. ეკოლუცია : განვითარება

- (ა) სენსაცია : გამოხმაურება
- (ბ) რეფერენდუმი : კენჭისყრა
- (გ) რომანტიკა : ემოცია
- (დ) პოლიფონია : მრავალხმიანობა

29. გული : სისხლძარღვი

- (ა) რეზერვუარი : არხი
- (ბ) კაშხალი : სადენი
- (გ) ღუმელი : საკვამური
- (დ) წყალსაქაჩი : მილი

30. ესკიზი : ნახატი

- (ა) რომანი : ეპოსი
- (ბ) ექსპრომტი : ლექსი
- (გ) მოხსენება : თეზისი
- (დ) ინტერვიუ : სტატია

31. ფიჭვნარი : ხეხილის ბალი

- (ა) მაღანი : რკინა
- (ბ) ხმა : ექო
- (გ) კედელი : ტიხარი
- (დ) ყინული : ნაყინი

32. წამოიწია : წამოდგა

- (ა) დაფიქრდა : გაიაზრა
- (ბ) შეისუნთქა : დაყნოსა
- (გ) შეყოვნდა : შეფერხდა
- (დ) ჩაიმუხლა : ჩამოჯდა

წინადაღებების შევსება

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადაღებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადაღებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (//) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ აღგიღებში აზრობრივად გამართულ წინადაღებას მოგვცემს.

33. რუსული კულტურის ----- გამოიხატებოდა ----- ძიებაში. ამიტომ ----- , რომ სწორედ რუსმა მხატვრებმა შეცვალეს ----- .

- (ა) ერთ-ერთი ცენტრალური იდეა / უბრალოებისა და სისადავის / გასაკვირი არაა / მრუდი ხაზი სწორით
- (ბ) მიერ უგულებელყოფილი ერთ-ერთი იდეის არსი / უბრალოებისა და სისადავის / გასაკვირია / სწორი ხაზი მრუდით
- (გ) ცენტრალური იდეა არ / სირთულისა და მრავალფეროვნების / გასაკვირი არაა / სწორი ხაზი მრუდით
- (დ) მიერ უგულებელყოფილი იდეის არსი / სირთულისა და მრავალფეროვნების / გასაკვირია / მრუდი ხაზი სწორით

34. სუბიექტის მიერ აღქმული საგნის ხატი მისი ----- „პირველწყაროს“ ზუსტი ----- , რამდენადაც ის ----- მკაფიო ნიშნით ----- .

- (ა) ობიექტური / ასლია / ობიექტურობის / არ აღიბეჭდება
- (ბ) სუბიექტური / ასლი არაა / ობიექტურობის / აღიბეჭდება
- (გ) ობიექტური / ასლი არაა / სუბიექტივიზმის / აღიბეჭდება
- (დ) სუბიექტური / ასლია / სუბიექტივიზმის / არ აღიბეჭდება

35. კადრების მენეჯერმა გადაწყვიტა ახალი თანამშრომლების მიღება ----- , თუმცა, მანამდე ის ----- ორგანიზაციის დირექტორის აზრს, რომ კადრები ----- უნდა შერჩეულიყო. საინტერესოა, რატომ შეცვალა კადრების მენეჯერმა თავისი პოზიცია და ----- , რომ სამუშაო გამოცდილების გათვალისწინება ----- შეუწყობდა ხელს კადრების სწორად შერჩევას.

- (ა) წინასწარი შერჩევის გარეშე / კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა / წინასწარი გასაუბრების საფუძველზე / გადაწყვიტა, მხარი დაეჭირა იდეისთვის / ვერ
- (ბ) მხოლოდ მათი სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით / კატეგორიულად არ ეთანხმებოდა / სწორედ ამ ნიშნით / უარი თქვა იმ მოსაზრებაზე / ვერ
- (გ) წინასწარი გასაუბრების გარეშე / სავსებით ეთანხმებოდა / მხოლოდ სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით / უარი აღარ თქვა იმ მოსაზრებაზე / მნიშვნელოვნად
- (დ) მხოლოდ მათი სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით / სავსებით ეთანხმებოდა / სწორედ ამ ნიშნით / გადაწყვიტა, მხარი დაეჭირა იდეისთვის / მნიშვნელოვნად

36. ჰომეროსი ვერასოდეს იფიქრებდა, რომ შეიძლებოდა „ილიადა“ და „ოდისეა“ ----- შეეთხა. ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მის -----, სხვათათვის ----- და დაუშლიდა მათ ----- .

- (ა) ყოველგვარი წესის გარეშე / წესებს ოდესმე ვინმე უგულებელყოფდა / მისაბაძ მაგალითად გამოიყენებდა / შემოქმედების პროცესში დამორჩილებოდნენ ამ წესებს
- (ბ) წინასწარ შემუშავებული წესების მიხედვით / „უწესობას“ ოდესმე ვინმე შეისწავლიდა / უარყოფით მაგალითად აქცევდა / შემოქმედების პროცესში დამორჩილებოდნენ გარკვეულ წესებს
- (გ) ყოველგვარი წესის გარეშე / წესებს ოდესმე ვინმე უგულებელყოფდა / უარყოფით მაგალითად აქცევდა / ყოფილიყვნენ ჰომეროსივით თავისუფალნი, „უწესონი“ და ორიგინალურნი
- (დ) წინასწარ შემუშავებული წესების მიხედვით / „უწესობას“ ოდესმე ვინმე შეისწავლიდა, მოწესრიგებულ ნაწილებად დაყოფდა / გამოიყენებდა წესად / ყოფილიყვნენ ჰომეროსივით თავისუფალნი, „უწესონი“ და ორიგინალურნი

37. რამდენადაც სიტყვა, როგორც ბერძნები, ძირითადად, ----- მასში ნაგულისხმევ მნიშვნელობას, ამდენად იგი -----, ანუ ----- უნარს.

- (ა) არ ჰგავს / ავითარებს სიმბოლურ აზროვნებას / თვალსაჩინოდ აღქმულში მისგან განსხვავებული, არათვალსაჩინო აზრის წვდომის
- (ბ) ჰგავს / ვერ ავითარებს სიმბოლურ აზროვნებას / თვალსაჩინოდ აღქმულში მისი მსგავსი, თვალსაჩინო აზრის წვდომის
- (გ) არ ჰგავს / ვერ განაპირობებს მნიშვნელობის სწორად გაგებას / არათვალსაჩინო ობიექტისთვის მისგან განსხვავებული, თვალსაჩინო ინფორმაციის მისადაგების
- (დ) ჰგავს / განაპირობებს მნიშვნელობის სწორად გაგებას / თვალსაჩინო ობიექტისთვის მისგან განსხვავებული, თვალსაჩინო ინფორმაციის მისადაგების

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას და მოცემული გარიანტებილან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

38. ბოლო წლებში ინდოეთის სამომხმარებლო ბაზარზე შეიმჩნეოდა ყავის ერთ-ერთი სახეობის მწვავე დეფიციტი. გამოითქვა ვარაუდი: ყავის ამ სახეობის დეფიციტის მიზეზი, ზოგადად, ყავის მოსავლიანობის შემცირებაა, რაც გამოწვეულია ქვეყანაში კლიმატის მკვეთრი ცვლილებით.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტი აყენებს ეჭვებებს ამ ვარაუდს?

- (ა) ბოლო წლებში ჯუნგლების გაჩეხვამ ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღო, რის გამოც ტემპერატურამ ამ ქვეყანაში რამდენიმე გრადუსით მოიმატა
- (ბ) ბოლო წლებში მკვეთრად იმატა იმ მომხმარებელთა რაოდენობამ, რომლებიც უპირატესობას ყავის ამ სახეობას ანიჭებენ
- (გ) ყავის ეს სახეობა ინდოეთისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტულია და, შესაბამისად, მისი პლანტაციების გაშენებისთვის სულ უფრო მეტი ტერიტორია გამოიყოფა
- (დ) მეცნიერთა დაკვირვებით, ამ სახეობის ყავის მოსავლიანობა პირდაპირპროპორციულ კავშირშია ნალექის სიხშირესა და ოდენობასთან

39. მოცემულია:

- ზოგიერთი მექსიკელი გამოჩენილი გიტარისტია
- ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უნდა ავილოთ მეორე დებულებად, რომ შევძლოთ დავასკვნათ:
- ზოგიერთი მექსიკელი ნიჭიერი ადამიანია

- (ა) ყველა გამოჩენილი გიტარისტი მექსიკელია
- (ბ) ზოგიერთი ნიჭიერი ადამიანი არაა მექსიკელი
- (გ) ზოგიერთი გამოჩენილი გიტარისტი ნიჭიერი ადამიანია
- (დ) ყველა გამოჩენილი გიტარისტი ნიჭიერი ადამიანია

40. ფსიქოლოგები მოზარდების ქცევას აკვირდებოდნენ, რის შედეგადაც დასკვნეს, რომ გოგონები უფრო მეტად გამოირჩევიან სხვებისთვის დახმარების გაწევის მზაღყოფნით, ვიდრე – ბიჭები. მოგვიანებით ფსიქოლოგებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ ბიჭებსა და გოგონებში დაახლოებით თანაბრადაა გამოხატული სხვებისათვის დახმარების გაწევის მზაღყოფნა.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტით შეიძლება აიხსნას განსხვავება დაკვირვებისა და ექსპერიმენტის შედეგებს შორის?

- (ა) როგორც დაკვირვების პროცესი, ასევე ექსპერიმენტი ფარულად მიმღინარეობდა, ისე, რომ არც გოგონებმა და არც ბიჭებმა არ იცოდნენ მათ შესახებ
- (ბ) დაკვირვების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი იყო და მოზარდების ქცევის ნებისმიერი ასპექტი სპეციალურად შედგენილი ანკეტის მეშვეობით აღინუსხებოდა
- (გ) ექსპერიმენტის დაწყებამდე მასში მონაწილე მოზარდებს დაურიგეს ბროშურები, რომლებიც სოციალური მხარდაჭერის მნიშვნელობას ეხებოდა
- (დ) ექსპერიმენტში მონაწილეობდა იმ მოზარდების უმრავლესობა, რომლებსაც აკვირდებოდნენ კიდეც

41. მოცემულია:

- საფრანგეთის ზოგიერთი მოქალაქე ალჟირელია
- ყველა ალჟირელს, რომელიც საფრანგეთის მოქალაქეა, უყვარს სპორტი
- საფრანგეთის ყველა მოქალაქე საუბრობს ფრანგულად

დავუშვათ, ეს დებულებები ჭეშმარიტია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა გამომღინარეობს მათგან აუცილებლად?

- (ა) ყველა ალჟირელი საუბრობს ფრანგულად
- (ბ) სპორტის ზოგიერთი მოყვარული საუბრობს ფრანგულად
- (გ) საფრანგეთის ზოგიერთი მოქალაქე არაა სპორტის მოყვარული
- (დ) სპორტის მოყვარული ყველა ალჟირელი საფრანგეთის მოქალაქეა

42. მოცემულია:

- ლექსების კრებულში ყოველ ნაწარმოებს, რითმიანია ის თუ არა, აქვს სათაური.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება გამომღინარეობს ამ მოცემულობიდან?

- (ა) კრებულში არაა შეტანილი ურითმო ლექსები
- (ბ) კრებულის არც ერთი ლექსი არაა ურითმო და უსათაურო
- (გ) კრებულის არც ერთი ლექსი არაა რითმიანი და დასათაურებული
- (დ) კრებულში ბევრი ლექსი ურითმოა, თუმცა – დასათაურებული

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართვულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ადამიანს სამყაროს შესახებ მწყობრი, არაწინააღმდეგობრივი შეხედულებების შექმნისა და შენარჩუნების მოთხოვნილება აქვს. გარკვეული წინააღმდეგობის, მაგალითად, საკუთარ მოსაზრებებსა და ქცევას შორის შეუსაბამობის აღმოცენებისას, ადამიანს უჩნდება ფსიქიური დისკომფორტი, დაძაბულობა, რომლის დაძლევასაც ის ცდილობს. ამ ფენომენის შესახებ არსებულ კონცეფციებს შორის ყველაზე პოპულარულია კოგნიტური (შემცნებითი) დისონანსის თეორია.

კოგნიტური დისონანსი სუბიექტის განცდისეული მდგომარეობაა, რომელიც წარმოიქმნება ადამიანის ცნობიერებაში ორი ან მეტი შემცნებითი ელემენტის (თვალსაზრისის, საკუთარი ქცევის შეფასების და ა.შ.) ფსიქოლოგიური შეუსაბამობის შემთხვევაში. ორ კოგნიტურ ელემენტს შორის დისონანსი მაშინ ჩნდება, როდესაც ერთი ელემენტიდან გამომდინარეობს მეორის უარყოფა, ანუ X-ისა და Y-ის კავშირი დისონანსურია, თუ X-დან გამომდინარეობს არაY. დისონანსური მდგომარეობის აღმოცენების საილუსტრაციოდ ხშირად მოჰყავთ მწეველთა მაგალითი, რომლებმაც იციან, რომ მოწევა მავნებელია მათი ჯანმრთელობისთვის, მაგრამ უარს ვერ ამბობენ მოწევაზე. დისონანსი, რომელსაც ისინი ამ დროს განიცდიან, შეიძლება მოიხსნას: ა) ქცევის შეცვლით (დაანებონ თავი მოწევას); ბ) ცოდნის შეცვლით (დაარწმუნონ საკუთარი თავი, რომ ინფორმაცია მოწევის მავნებლობის შესახებ არ არის სანდო); გ) ინფორმაციის შერჩევითად აღქმით (უგულებელყონ ინფორმაცია, რომელიც მოწევის მავნებლობას ადასტურებს, ან მოიძიონ მხოლოდ ისეთი ფაქტები, რომლებიც მოწევის დადებით ასპექტებზე მიუთითებს). დისონანსის მოხსნა გულისხმობს ურთიერთშეუსაბამო კოგნიტური ელემენტებიდან ერთ-ერთის ან, ზოგჯერ, ორივეს შეცვლას, მათ ერთმანეთთან შეთანხმებას, რათა შემცირდეს წინააღმდეგობა და აღდგეს დარღვეული წონასწორობა.

კოგნიტური დისონანსის თეორიის მიხედვით, როდესაც ადამიანი ახორციელებს ისეთ ქცევას, რომლის გამართლება „გარე“ არგუმენტებით შეუძლებელია, მაშინ ის „შინაგანი“ არგუმენტაციის მექანიზმს აამოქმედებს. ლ. ფრიდმანის ექსპერიმენტში ცდისპირები მოსაწყენ და ერთფეროვან დავალებას ასრულებდნენ. ისინი ორ ჯგუფად დაყვეს. პირველი ჯგუფის წევრებისთვის მიწოდებულ ინსტრუქციაში აღნიშნული იყო, რომ ამ ექსპერიმენტის შედეგებს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან გამოკვლევების ძირითადი სერია, ფაქტობრივად, დასრულებული იყო. მეორე ჯგუფის წევრებს კი აცნობეს, რომ კვლევა-ძიება გაღამწყვეტ სტადიაზე იმყოფებოდა და ექსპერიმენტის შედეგებს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ პირველი ჯგუფის წევრები, მეორესთან შედარებით, უფრო დადებითად აფასებდნენ შესრულებულ დავალებას. როგორც ვხედავთ, უინტერესო დავალების შესრულებითა და ამგვარი ქცევისთვის გარე გამართლების არასებობით გამოწვეული დისონანსი დავალების მიმართ დადებითი დამოკიდებულების შექმნით მოიხსნა.

ადამიანი, რომელიც რამდენიმე ალტერნატიული გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთს ირჩევს და შესაბამის ქცევას ახორციელებს, უნებურად იწყებს ამ ქცევის გამართლებას. ქ. ბრემის ექსპერიმენტში ცდისპირებს სხვადასხვა სახის ელექტროხელსაწყო ხარისხის მიხედვით უნდა შეეფასებინათ. ამის შემდეგ ექსპერიმენტში მონაწილეობისთვის მათ ერთ-ერთი ხელსაწყოთი ასაჩუქრებდნენ. „საჩუქარი“ ცდისპირებს თავად უნდა აერჩიათ მათ მიერ ერთნაირად შეფასებული ორი ხელსაწყოდან. არჩევანის გაკეთების შემდეგ ისინი ხელახლა აფასებდნენ ყველა იმ ნივთს, რომელიც ექსპერიმენტის დასაწყისში შეაფასეს. ცდისპირებმა შერჩეული ნივთი, პირველ შეფასებასთან შედარებით, უფრო დადებითად შეაფასეს, ხოლო უარყოფილი – ნაკლებ პოზიტიურად.

43. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?

I აბზაცში:

- (ა) საუბარია სამყაროს შესახებ აღამიანის შეხედულებათა არაწინააღმდეგობრივ ხასიათსა და მისი შენარჩუნების ფაქტორებზე, ასევე – აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებულ თეორიებზე
- (ბ) აღნიშნულია სამყაროს შესახებ წარმოდგენათა ურთიერთშეუსაბამობით გამოწვეული უსიამოვნო მდგომარეობისგან თავის დალწევის მოთხოვნილებისა და ამ საკითხისადმი მიძლვნილი თეორიების არსებობა
- (გ) დასახელებულია სამყაროს შესახებ შეხედულებათა ურთიერთშეუსაბამობის გამოწვევი სიტუაციები, ამგვარი შეუსაბამობის თანმდევი შედეგები და მათ ასახსნელად შექმნილი კონცეფციები
- (დ) განხილულია სამყაროს შესახებ წარმოდგენათა არაწინააღმდეგობრივი ხასიათის შენარჩუნების მნიშვნელობა, ფსიქიკური დისკომფორტის გამომწვევი ფაქტორები და შესაბამისი თეორიული კონცეფციები

44. აღამიანს, რომელიც დადებითადაა განწყობილი X-ისა და Y-სადმი, დისონანსი ან გაუჩნდება იმ შემთხვევაში, თუ:

- (ა) Y-ის მიღწევას არ ახლავს X-ის დაკარგვის შიში
- (ბ) Y-ის მიღწევა განაპირობებს არაX-ის წარმოქმნას
- (გ) Y-სადმი სწრაფვას არ ახლავს X-ის მიღწევის შესაძლებლობა
- (დ) Y-სადმი სწრაფვას ხელს უწყობს არაX-ის მიღწევა

45. მწეველი აღამიანის მაგალითის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- (ა) დისონანსური მდგომარეობისგან თავის დაღწევისას აღამიანი შეუსაბამო მოქმედების აღკვეთას, ჩვეულებრივ, სარწმუნო ინფორმაციის მოძიებით ახერხებს
- (ბ) დისონანსის განცდისეული მდგომარეობის აღმოცენება, ძირითადად, იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, როდესაც აღამიანის ჭანმრთელობას საფრთხე ემუქრება
- (გ) დისონანსის გამომწვევ კოგნიტურ ელემენტებსა და მათ შორის არსებული წინააღმდეგობის მოხსნის გზებს შორის გარკვეული თანხვედრა უნდა არსებობდეს
- (დ) ერთი და იმავე მიზეზით გამოწვეული დისონანსური მდგომარეობის აღსაკვეთად შესაძლებელია სრულიად განსხვავებული სტრატეგიების გამოყენება

46. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი თვალსაზრისი არ დასტურდება ტექსტში? (უპასუხეთ II აბზაცის მიხედვით)

- (ა) დისონანსის მოსახსნელად ადამიანი ზოგჯერ ორი წინააღმდეგობრივი კოგნიტური ელემენტიდან ერთ-ერთის სასარგებლოდ მოიძიებს ინფორმაციას
- (ბ) ორი წინააღმდეგობრივი კოგნიტური ელემენტის ურთიერთდაახლოების მიზნით ადამიანმა შეიძლება შეცვალოს ქცევა
- (გ) ურთიერთშეუსაბამო კოგნიტურ ელემენტებს შორის წინააღმდეგობის შესამცირებლად ადამიანმა შეიძლება უგულებელყოს გარკვეული ინფორმაცია
- (დ) დისონანსის შედეგად დარღვეული წონასწორობის აღსაღენად ადამიანი იძულებულია შეცვალოს ორივე წინააღმდეგობრივი კოგნიტური ელემენტი

47. ჩამოთვლილთაგან რომელია ფრიდმანის ექსპერიმენტში აღწერილი დისონანსის წარმოქმნის სიტუაციის ანალოგიური?

- (ა) მეცნიერმა დაადგინა, რომ აღმოჩენა, რომელსაც ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, მისთვის ნაკლებად პატივსაცემ და არაკვალიფიციურ მკვლევარს ეკუთვნოდა
- (ბ) მოგზაურმა ისეთი ტურისტული მარშრუტი აირჩია, რომელიც, მისი აზრით, კომფორტული და უსაფრთხო იყო, თუმცა, შემდეგ გაირკვა, რომ ამ მარშრუტით მხოლოდ რისკის მოყვარული ადამიანები სარგებლობენ
- (გ) ახალგაზრდა მუსიკოსი კონკურსისთვის დიდი ხნის განმავლობაში ინტენსიურად ემზადებოდა, თუმცა, აღმოჩნდა, რომ მუსიკალურ სამყაროში ამ კონკურსს არც თუ პრესტიულად მიიჩნევდნენ
- (დ) ქალბატონმა პოპულარული მარკის ორ ავტომობილს შორის უკეთესი დიზაინის მქონე მანქანა აირჩია, მოგვიანებით კი აღმოაჩინა, რომ ეს უკანასკნელი გაცილებით მეტ საწვავს საჭიროებდა, ვიდრე – მის მიერ უარყოფილი ავტომობილი

48. III აბზაცის მიხედვით, რა მიმართება „გარე“ არგუმენტებს, „შინაგან“ არგუმენტებსა და ქცევის შეფასებას შორის?

- (ა) რაც უფრო მეტი „გარე“ არგუმენტი აქვს ადამიანს გარკვეული საქმიანობის შესასრულებლად, მით მეტად სავარაუდოა, რომ ის დადებითად შეაფასებს ამ სამუშაოს
- (ბ) რაც უფრო ნაკლები „შინაგანი“ არგუმენტი აქვს ადამიანს გარკვეული საქმიანობის შესასრულებლად, მით მეტად სავარაუდოა, რომ ადამიანი აღარ მიმართავს „გარე“ არგუმენტებს
- (გ) რაც უფრო ნაკლები „გარე“ არგუმენტი აქვს ადამიანს სამუშაოს შესასრულებლად, მით მეტად სავარაუდოა, რომ ის დადებითად შეაფასებს საკუთარ ქცევას
- (დ) რაც უფრო მეტი „შინაგანი“ არგუმენტი აქვს ადამიანს ამა თუ იმ ქცევის განსახორციელებლად, მით მეტად სავარაუდოა, რომ ის აღარ მიმართავს „გარე“ არგუმენტებს

49. ბოლო აბზაცში წარმოდგენილი ცდის შედეგების საფუძველზე შეუძლებელია გაეცეს პასუხი კითხვას:

- (ა) რა ეფექტი ახლავს ერთნაირად შეფასებული ნივთებიდან ერთ-ერთის არჩევას
- (ბ) რა შემთხვევაში იცვლება სუბიექტის მიერ ამა თუ იმ ნივთის შეფასება,
- თავდაპირველ შეფასებასთან შედარებით
- (გ) როგორია დისონანსის მოხსნის ძირითადი სტრატეგია ერთნაირად შეფასებული ობიექტებიდან ერთ-ერთისთვის პრიორიტეტის მინიჭების შემთხვევაში
- (დ) როგორია მიმართება ნივთის რეალურ ხარისხსა და სუბიექტის მიერ მის შეფასებას შორის

50. რა მიმართებაა ტექსტში მოცემულ მწეველთა მაგალითსა და ორი ექსპერიმენტის შედეგებს შორის?

- (ა) მწეველთა მაგალითში აღწერილი დისონანსი გამოწვეულია შეუსაბამობით ქცევასა და მის შესახებ ცოდნას შორის, ფრიდმანის ექსპერიმენტში – შეუსაბამობით ქცევასა და მის „გარე“ გამართლებას შორის, ხოლო ბრემის ექსპერიმენტში – თავდაპირველ შეფასებებსა და მომდევნო ქცევას შორის
- (ბ) მწეველთა მაგალითში აღწერილი დისონანსი ცხოვრებისეული ხასიათისაა, მაშინ როდესაც ფრიდმანის და ბრემის ექსპერიმენტებში გამოვლენილი დისონანსი მხოლოდ ლაბორატორიულ პირობებში შეიძლება წარმოიქმნას
- (გ) მწეველთა მაგალითში და ბრემის ექსპერიმენტში აღწერილი დისონანსის საფუძველი ორ ცოდნას შორის არსებული შეუსაბამობაა, ხოლო ფრიდმანის ექსპერიმენტში – ქცევის არარეალისტური შეფასება
- (დ) მწეველთა მაგალითში აღწერილი დისონანსის აღმოცენება უკავშირდება ქცევის ნეგატიურ შეფასებას, ფრიდმანის ექსპერიმენტში – დავალების ნეიტრალურ ხასიათს, ხოლო ბრემის ექსპერიმენტში – სასიამოვნო („დასაჩუქრების“) პროცედურას

მათემატიკური ნაწილი

ტესტის მათემატიკურ ნაწილზე მუშაობისას გაითვალისწინეთ:

- ნახაზები, რომლებიც ერთვის ზოგიერთ დავალებას, არაა შესრულებული დავალების პირობაში მითითებული ზომების ზუსტი დაცვით. ამიტომ მონაკვეთების სიგრძის ან სხვა სიდიდეების შესახებ დასკვნის გამოტანისას ნუ დაეყრდნობით ნახაზის ზომებს. ყურადღება გაამახვილეთ დავალების პირობაზე;
- თუ ნახაზზე მოცემული სწორი ხაზის შესახებ ამოცანის პირობაში დამატებით არაფერია ნათქვაში, მაშინ უნდა ჩათვალოთ, რომ ეს სწორი ხაზი – წრფეა ან მისი ნაწილი;
- ტესტში გამოყენებულია რიცხვთა ჩაწერის მხოლოდ ათობითი პოზიციური სისტემა.

მათემატიკური აღნიშვნები და ფორმულები:

1. ნული არც დადებითია და არც უარყოფითი;

1 არ არის მარტივი რიცხვი.

2. პროცენტი: a რიცხვის $k\%$ არის $a \cdot \frac{k}{100}$;

3. ხარისხი: $a^n = a \cdot a \cdot a \cdot \dots \cdot a$ (n -ჯერ)

$$a^n \cdot a^m = a^{n+m}$$

$$a^n : a^m = a^{n-m}$$

$$(a^n)^m = a^{n \cdot m}$$

4. პროპორცია: ოც $\frac{a}{b} = \frac{c}{d}$, მაშინ $ad = bc$.

5. სიჩქარე: $S_{\text{მარტივ}} = \frac{\text{მანძილი}}{\text{დრო}}$

6. საშუალო არითმეტიკული:

$$\text{მონაცემთა საშუალო} = \frac{\text{მონაცემთა ჯამი}}{\text{მონაცემთა რაოდანობა}}$$

7. შემოკლებული გამრავლების ფორმულები:

$$(a+b)^2 = a^2 + 2ab + b^2;$$

$$(a - b)^2 = a^2 - 2ab + b^2;$$



$$(a + b)(a - b) = a^2 - b^2.$$

8. ნახაზზე კუთხე შეიძლება კუთხის გვერდებს შორის ჩასმული პატარა რკალით იყოს მონიშნული, მართი კუთხე კი – პატარა კვადრატით.

ჩანაწერი $\angle A$ აღნიშვნას ა კუთხის სიღიდეს.

9. პარალელური წრფეები:

• ორი პარალელური წრფის მესამე წრფით გადაკვეთისას შიგა ჯვარედინა კუთხეები ტოლია: $\alpha = \beta$.




10. სამკუთხედი:

- სამკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი 180° -ის ტოლია.

• პითაგორას თეორემა:

მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზის სიგრძის კვადრატი ტოლია კათეტების სიგრძეთა კვადრატების ჯამის:



$$AB^2 = AC^2 + BC^2 \quad (\text{იხ. ნახაზი}).$$

- სამკუთხედის ფართობი სამკუთხედის გვერდის სიგრძისა და ამ გვერდის შესაბამისი სიმაღლის ნამრავლის ნახევრის ტოლია: $S = \frac{ah}{2}$.

11. ოთხკუთხედი:

- ოთხკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამია 360° .

• მართკუთხედის ფართობი მისი სიგრძისა და სიგანის ნამრავლის ტოლია: $S = ab$.

• პარალელოგრამის ფართობი მისი გვერდის სიგრძისა და ამ გვერდის შესაბამისი სიმაღლის ნამრავლის ტოლია: $S = ah$.



12. წრე, წრეწირი:

- წრეწირის სიგრძე L მისი რადიუსის მიხედვით გამოითვლება ფორმულით: $L = 2\pi r$.


რიცხვი π მეასედის სიზუსტით $3,14$ -ის ტოლია.

- r რადიუსიანი წრეს ფართობი გამოითვლება ფორმულით: $S = \pi r^2$.

13. მართკუთხა პარალელურპიპედი:

- მართკუთხა პარალელურპიპედის მოცულობა მისი სიგრძის, სიგანისა და სიმაღლის ნამრავლის ტოლია: $V = abc$;

- კუბის შემთხვევაში: $a = b = c$.



რაოდენობრივი შედარება

შეადარეთ ერთმანეთს A და B სკეტების უჭრებში მოცემული რაოდენობები.

თუ A სკეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია B სკეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ა);

თუ B სკეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია A სკეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ბ);

თუ უჭრებში მოცემული რაოდენობები ტოლია, აირჩიეთ (გ);


თუ მოცემული ინფორმაცია საქმარისი არაა იმის დასადგენად, რომელი რაოდენობაა მეტი, აირჩიეთ (დ).

	A	B	
51.	$2\frac{3}{4}$ კმ	2,75 კმ	(ა) (ბ) (გ) (დ)

52.	მართკუთხედის ღიღი გვერდის სიგრძეა 8 სმ, ხოლო დიაგონალისა – 10 სმ. ამ მართკუთხედის მცირე გვერდის სიგრძე	6 სმ	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	-----------------------------------------------------------------------------------------------------------	------	-----------------

53.	სპორტულ კომპლექსში გატარებული ყოველი საათისთვის გადასახადი დღის 12 სთ-დან საღამოს 19 სთ-მდე 4 ლარია, ხოლო სხვა დროს – 2 ლარი. თინა სპორტულ კომპლექსში ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღე დადიოდა და იქ 3 საათის განმავლობაში რჩებოდა. თინას მიერ გადასახდელი თანხა	38 ლარი	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------	-----------------

54.	100-ზე ნაკლები 5-ის ჯერა-დი ლუწი ნატურალური რიცხვების რაოდენობა	100-ზე ნაკლები 5-ის ჯერა-დი კენტი ნატურალური რიცხვების რაოდენობა	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	-----------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------	-----------------

55.	სამკუთხედის AB და BC გვერდები ტოლია. 1, 2, 3 და 4 ამ სამკუთხედის გვერდების ორი წრფით გადაკვეთის შედეგად მიღებული კუთხეებია (იხ. ნახაზი). $\angle 1 + \angle 2$	 $\angle 3 + \angle 4$	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------

56.	<p>x ნაკლებია a-ზე 16-ით, ხოლო b მეტია x-ზე.</p> <table style="width: 100%; border: 1px solid black; margin-bottom: 5px;"> <tr> <td style="width: 50%; text-align: center; padding: 5px;">a</td><td style="width: 50%; text-align: center; padding: 5px;">b</td></tr> </table>	a	b	(ა) (ბ) (გ) (დ)
a	b			

57.	<p>რიცხვთა ღერძზე მოცემულია დადებითყორდინატებიანი წერტილები: A, B და C. A-ს კოორდინატი 2-ჯერ მეტია B-ს კოორდინატზე და 4-ჯერ მეტია C-ს კოორდინატზე.</p> <table style="width: 100%; border: 1px solid black; margin-bottom: 5px;"> <tr> <td style="width: 50%; text-align: center; padding: 5px;">AC მონაკვეთის სიგრძის შეფარდება AB მონაკვეთის სიგრძესთან</td><td style="width: 50%; text-align: center; padding: 5px;">2</td></tr> </table>	AC მონაკვეთის სიგრძის შეფარდება AB მონაკვეთის სიგრძესთან	2	(ა) (ბ) (გ) (დ)
AC მონაკვეთის სიგრძის შეფარდება AB მონაკვეთის სიგრძესთან	2			

58.	<p>a და b დადებითი რიცხვებია. a-ს მესამედი b-ს მეექვედზე ნაკლებია.</p> <table style="width: 100%; border: 1px solid black; margin-bottom: 5px;"> <tr> <td style="width: 50%; text-align: center; padding: 5px;">a</td><td style="width: 50%; text-align: center; padding: 5px;">b</td></tr> </table>	a	b	(ა) (ბ) (გ) (დ)
a	b			

ამოცანები

59. $5\frac{1}{3} : 4 =$

- (ა) $1\frac{1}{12}$
- (ბ) $1\frac{1}{3}$
- (გ) $1\frac{2}{3}$
- (დ) $2\frac{1}{12}$
- (ე) $2\frac{1}{4}$

60. ნათიაშ 4 ცალი ასანთის ღერით კვადრატი შეაღგინა, შემდეგ 3 ღერის გამოყენებით ამ კვადრატს მეორე კვადრატი მიაღგა, შემდეგ ისევ 3 ღერის გამოყენებით მეორე კვადრატს მესამე კვადრატი მიაღგა და ასე მოიქცა კიდევ რამდენჯერმე. ნათიაშ სულ 19 ცალი ასანთის ღერი გამოიყენა. რამდენი კვადრატი შეუდგენია ნათიას?

- (ა) 9
- (ბ) 8
- (გ) 7
- (დ) 6
- (ე) 5

61. $a = 24 \cdot 57 \cdot 39 \cdot 236 \cdot 503$. რომელი ციფრით ბოლოვდება a რიცხვის ციფრული ჩანაწერი?

- (ა) 0
- (ბ) 2
- (გ) 4
- (დ) 6
- (ე) 8

62. თუ ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა b ათასის ტოლია და იგი ჯერ $m\%$ -ით შემცირდება, შემდეგ კი $n\%$ -ით გაიზრდება, მაშინ ქალაქის მოსახლეობის

საბოლოო რაოდენობა p (ათასებში) გამოითვლება ფორმულით: $p = b \left(1 - \frac{m}{100}\right) \left(1 + \frac{n}{100}\right)$.

ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა 100 ათასის ტოლია. რამდენი ათასის ტოლი იქნება ამ ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა, თუ იგი ჯერ 10%-ით შემცირდება, შემდეგ კი 20%-ით გაიზრდება?

- (ა) 104
- (ბ) 106
- (გ) 108
- (დ) 110
- (ე) 112

მონაცემთა ანალიზი

ცხრილში წარმოდგენილია ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენ მილიონ აშშ დოლარს შეაღგენდა საქართველოდან ექსპორტირებული სხვადასხვა პროდუქციის ღირებულება 2001-2006 წლებში.

	2001	2002	2003	2004	2005	2006
ხორბალი	1,3	6,6	11	23	5	6,6
შაქარი	3	14	34	34	30	19
ბოსტონული	0,5	0,7	0,4	1,1	1,1	1,2
ხილი	12	9,2	16	21	77	62
მინერალური წყლები	12	17	20	19	32	24
უაღეოროლო სასმელები	3,5	2,8	12	14	20	23
ლუდი	0,2	0,2	0,2	0,1	0,2	0,5
ღვინო	32	34	43	49	82	42
სამრთიანი სასმელები	3,8	5,8	13	19	29	30

ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ ოთხ შეკითხვას:

63. რამდენი მილიონი დოლარით აღემატებოდა 2004 წელს ექსპორტირებული შაქრის ღირებულება იმავე წელს ექსპორტირებული ხორბლის ღირებულებას?

- (ა) 11
- (ბ) 15
- (გ) 19
- (დ) 23
- (ე) 27

64. ჩამოთვლილთაგან რომელ წელს შემცირდა ექსპორტირებული ბოსტნეულის ღირებულება 300 ათასი ლორარით (წინა წელთან შედარებით)?

- (ა) 2002
- (ბ) 2003
- (გ) 2004
- (დ) 2005
- (ე) 2006

65. ლუდი, ლვინო და სპირტიანი სასმელები ალკოჰოლური სასმელების ჯგუფს მიეკუთვნება. 2001 წელს საქართველოდან ექსპორტირებული ალკოჰოლური სასმელების ღირებულების რა ნაწილს შეადგენდა იმავე წელს ექსპორტირებული ლვინის ღირებულება?

- (ა) $\frac{1}{2}$
- (ბ) $\frac{2}{3}$
- (გ) $\frac{4}{5}$
- (დ) $\frac{6}{7}$
- (ე) $\frac{8}{9}$


66. ჩამოთვლილთაგან რომელი წინადაღებაა მართებული, ცხრილის მიხედვით?

- (ა) საქართველოდან ექსპორტირებული მინერალური წყლების ღირებულება ყოველ წელს აღემატებოდა იმავე წელს ექსპორტირებული ხილის ღირებულებას
- (ბ) საქართველოდან ექსპორტირებული უალკოჰოლო სასმელების ღირებულება ყოველ წელს აღემატებოდა იმავე წელს ექსპორტირებული შაქრის ღირებულებას
- (გ) ყოველ წელს, დაწყებული 2002-დან, საქართველოდან ექსპორტირებული ლუდის ღირებულება, წინა წელთან შედარებით, არ იკლებდა
- (დ) ყოველ წელს, დაწყებული 2002-დან, საქართველოდან ექსპორტირებული უალკოჰოლო სასმელების ღირებულება, წინა წელთან შედარებით, იკლებდა
- (ე) ყოველ წელს, დაწყებული 2002-დან, საქართველოდან ექსპორტირებული სპირტიანი სასმელების ღირებულება, წინა წელთან შედარებით, იზრდებოდა

ამოცანები

67. მართკუთხა საკორდინატო სიბრტყეზე მოცემული ABCD პარალელოგრამის A, B და D წერტილების კოორდინატები მითითებულია ნახაზზე.

- C წერტილის კოორდინატები $(m; n) =$
- (ა) $(5; 4)$
 - (ბ) $(2; 4)$
 - (გ) $(2; 5)$
 - (დ) $(8; 2)$
 - (ე) $(-5; -2)$



68. რამდენით გადიდება სამი რიცხვის ჯამი, თუ პირველ შესაკრებს გავადიდებთ 2-ით, მეორეს – 4-ით, ხოლო მესამეს შევამცირებთ 3,4-ით?

- (ა) 9,4-ით
- (ბ) 7,4-ით
- (გ) 6-ით
- (დ) 4,6-ით
- (ე) 2,6-ით


69. თუ ერთმანეთისგან განსხვავებული a და b რიცხვების საშუალო არითმეტიკული

$$y\text{-ის ტოლია, მაშინ } \frac{a-y}{b-y} =$$

- (ა) -1
- (ბ) $-\frac{1}{2}$
- (გ) $\frac{1}{2}$
- (დ) 1
- (ე) 2

70. ტოლუჭრედებიან ბადეზე მონიშნული A , B , C და D წერტილები ერთმანეთთან ტეხილი ხაზებითაა შეერთებული, რომელთა წვეროები ბადის კვანძებს ემთხვევა (იხ. ნახაზი). C და D წერტილების შემაერთებელი ტეხილის სიგრძეა 480 მ. რამდენი მეტრია A და B წერტილების შემაერთებელი ტეხილის სიგრძე?

- (ა) 280
- (ბ) 300
- (გ) 320
- (დ) 340
- (ე) 360



71. n ნებისმიერი ნატურალური რიცხვია. ვთქვათ, n^* აღნიშნავს n -ის ყველა გამყოფის ნამრავლს. მაგალითად, $4^* = 1 \cdot 2 \cdot 4 = 8$.

რისი ტოლია $10^*: 5^*$?

- (ა) 2
- (ბ) 5
- (გ) 15
- (დ) 20
- (ე) 50

72. 9 ერთნაირი კოლოფით ააწყვეს მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის სხეული, რომლის სიგრძეა 30 სმ, სიგანე – 15 სმ, სიმაღლე – 20 სმ. რამდენი ასეთი კოლოფია საჭირო 60 სმ სიგრძის წიბოს მქონე კუბის ფორმის სხეულის ასაწყობად?

- (ა) 240
- (ბ) 216
- (გ) 182
- (დ) 144
- (ე) 81

73. პარტერში სკამები k რიგად აწყვია. თითოეულ რიგში სკამების რაოდენობა 5-ით მეტია რიგების რაოდენობაზე, ამფითეატრში კი იმდენივე სკამია, რამდენიც პარტერში. რისი ტოლია სკამების რაოდენობა პარტერსა და ამფითეატრში ერთად?

- (ა) $2k(k + 5)$
- (ბ) $2(k + 5)$
- (გ) $2k + 5$
- (დ) $4(k + 5)$
- (ე) $8k$

74. ყურძენს სამი დღის განმავლობაში კრეფლნენ. პირველ დღეს 50 ტონა ყურძენი მოკრიფეს. შემორე დღეს მოკრეფილი ყურძნის რაოდენობის შეფარდება პირველ დღეს მოკრეფილი ყურძნის რაოდენობასთან $\frac{4}{5}$ -ის ტოლი იყო, ხოლო მესამე დღეს მოკრეფილი ყურძნის რაოდენობასთან – $\frac{5}{3}$ -ისა.

- რამდენი ტონა ყურძენი მოუკრეფიათ მესამე დღეს?
- (ა) 8
 - (ბ) 16
 - (გ) 24
 - (დ) 32
 - (ე) 40

75. თუ $a(ax+1)+x=a^2$, მაშინ $x =$

- (ა) $\frac{a^2-a}{a^2+1}$
- (ბ) $\frac{a^2}{2a+1}$
- (გ) $\frac{a^2+1}{a^2-a}$
- (დ) $\frac{a^2-1}{a^2+1}$
- (ე) $\frac{2a-1}{2a+1}$

რაოდენობრივი შედარება

შეადარეთ ერთმანეთს A და B სკეტის უქრებში მოცემული რაოდენობები.

თუ A სკეტის უქრაში მოცემული რაოდენობა მეტია B სკეტის შესაბამის უქრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ა);

თუ B სკეტის უქრაში მოცემული რაოდენობა მეტია A სკეტის შესაბამის უქრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ბ);

თუ უქრებში მოცემული რაოდენობები ტოლია, აირჩიეთ (გ);

თუ მოცემული ინფორმაცია საქმარისი არაა იმის დასადგენად, რომელი რაოდენობაა მეტი, აირჩიეთ (დ).

	A	B	
76.	<p>საკანცელარიო მაღაზიაში რვეული 30 თეთრი ლირს, ფანქარი – 20 თეთრი. ლიამ ამ მაღაზიაში თავისი თანხის ნახევრით ფანქრები იყიდა, დარჩენილით – კალმები, ელენემ კი ამავე ოდენობის თანხით მხოლოდ რვეულები იყიდა.</p> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: fit-content;"> ლიას მიერ ნაყიდი საკანცელარიო ნივთების რაოდენობა </div> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: fit-content;"> ელენეს მიერ ნაყიდი საკანცელარიო ნივთების რაოდენობა </div>		(ა) (ბ) (გ) (დ)

77.	<p>კუნძულზე, რომელზეც მხოლოდ ორი – A და B – სასტუმროა, A სასტუმროში ცხოვრობენ მხოლოდ ფრანგი და გერმანელი, ხოლო B სასტუმროში – მხოლოდ გერმანელი და ინგლისელი ტურისტები. დიაგრამებზე მოცემულია, ტურისტების რაოდენობის რამდენ პროცენტს შეადგენდა ფრანგ, გერმანელ და ინგლისელ ტურისტთა რაოდენობა A სასტუმროში და მთლიანად კუნძულზე.</p> <div style="text-align: center;"> <p>A სასტუმროში</p> <table border="1"> <tr> <td>50% ფრანგები</td> <td>50% გერმანელები</td> </tr> </table> <p>მთლიანად კუნძულზე</p> <table border="1"> <tr> <td>25% ფრანგები</td> <td>45% გერმანელები</td> </tr> <tr> <td>30% ინგლისელები</td> <td></td> </tr> </table> </div> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: fit-content;"> B სასტუმროში მცხოვრებ გერმანელ ტურისტთა რაოდენობა </div> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: fit-content;"> B სასტუმროში მცხოვრებ ინგლისელ ტურისტთა რაოდენობა </div>	50% ფრანგები	50% გერმანელები	25% ფრანგები	45% გერმანელები	30% ინგლისელები			(ა) (ბ) (გ) (დ)
50% ფრანგები	50% გერმანელები								
25% ფრანგები	45% გერმანელები								
30% ინგლისელები									

78.	<p>ნებისმიერი a, b და c რიცხვებისთვის $(a, b, c)^* = a \cdot c - b$.</p> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: fit-content;"> $(2a, -1, a)^*$ </div> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: fit-content;"> $(a, 3, 2a)^*$ </div>		(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	-----------------

<p>79. დილით M და N კომპანიების აქციები ერთნაირ ფასში იყიდებოდა. დღის განმავლობაში კომპანიათა აქციების ფასი ორჯერ შეიცვალა: M კომპანიის აქციები ჭერ გაიაფდა 20%-ით, შემდეგ გაძვირდა 25%-ით, N კომპანიის აქციები კი ჭერ გაძვირდა 25%-ით, შემდეგ გაიაფდა 20%-ით.</p>	<p>M კომპანიის აქციების ფასი დღის ბოლოს</p>	<p>N კომპანიის აქციების ფასი დღის ბოლოს</p>	<p>(ა) (ბ) (გ) (დ)</p>
---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------	-------------------------------------------------	------------------------

<p>80. წრეში, რომლის რადიუსის სიგრძეა 6 სმ, გავ- ლებულია ორი რადიუსი, რომელთა ბოლოები მონაკვეთითაა შეერთებული (იხ. ნახაზი).</p>		<p>(ა) (ბ) (გ) (დ)</p>
<p>ამ მონაკვეთითა და რადიუსებით შედგენილი სამკუთხედის ფართობი</p>	<p>22 კვ. სმ</p>	

<p>81.</p>	$a \cdot b > 0, \quad a \cdot c > 0$	<p>(ა) (ბ) (გ) (დ)</p>
	<p>$a+b+c$</p>	<p>0</p>

<p>82. მართკუთხედის ერთი გვერდის სიგრძე 4 სმ-ის ტოლია, ხოლო პერიმეტრი მეტია 10 სმ-ზე.</p>	<p>ამ მართკუთხედის ფართობი</p>	<p>5 სმ²</p>	<p>(ა) (ბ) (გ) (დ)</p>
------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------	-------------------------	------------------------

ამოცანები

83. $\frac{1001+1002+1003+1004+1005}{1003+1003} =$


- (ა) $1\frac{1}{2}$
- (ბ) $2\frac{1}{3}$
- (გ) $2\frac{1}{2}$
- (დ) $2\frac{2}{3}$
- (ე) $3\frac{1}{3}$

84. თუ $y = 3x + 4$ და $x = 3y + 4$, მაშინ $6 - y =$

- (ა) 4
- (ბ) 5
- (გ) 6
- (დ) 7
- (ე) 8

85. M და N წერტილები ABCD კვადრატის BC და AD გვერდების შუაწერტილებია, K წერტილი კი MN მონაკვეთის შუაწერტილია. რისი ტოლია ABCD კვადრატის ფართობი, თუ ABMK ოთხუთხედის ფართობია 12 см^2 ?

- (ა) 24 см^2
- (ბ) 26 см^2
- (გ) 28 см^2
- (დ) 30 см^2
- (ე) 32 см^2




86. მიმდევრობის პირველი წევრია 104, ყოველი მომდევნო წევრი კი წინა წევრზე 2,5-ჯერ მეტია. ამ მიმდევრობის მერამდენე წევრია 1000-ზე მეტი, მაგრამ 2000-ზე ნაკლები?

- (ა) მე-2
- (ბ) მე-3
- (გ) მე-4
- (დ) მე-5
- (ე) მე-6

მონაცემთა ანალიზი

დიაგრამაზე მოცემულია, რისი ტოლია ჰაერის საშუალო ტემპერატურა აფრიკის სამ ქალაქში: მომბასაში, კეიპტაუნსა და კაიროში (ყოველთვიურად).



დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ ოთხ შეკითხვას:

87. რომელ თვეშია კეიპტაუნში ჰაერის საშუალო ტემპერატურასა და მომბასაში ჰაერის საშუალო ტემპერატურას შორის განსხვავება ყველაზე დიდი?

- (ა) ივნისში
- (ბ) ივლისში
- (გ) აგვისტოში
- (დ) სექტემბერში
- (ე) ოქტომბერში

88. რომელ თვეშია კაიროში ჰაერის საშუალო ტემპერატურის მაჩვენებელი კეიპტაუნისა და მომბასას შესაბამისი მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულის ტოლი?

- (ა) იანვარში
- (ბ) თებერვალში
- (გ) მარტში
- (დ) აპრილში
- (ე) მაისში

89. კეიპტაუნში ჰაერის საშუალო ტემპერატურის მაჩვენებელი აპრილში, წინა თვესთან შედარებით, შემცირებულია:

- (ა) 3%-ით
- (ბ) 6%-ით
- (გ) 9%-ით
- (დ) 12%-ით
- (ე) 15%-ით

90. ჩამოთვლილთაგან რომელი წინადაღებაა მართებული, დიაგრამის მიხედვით?

(ა) ჰაერის საშუალო ტემპერატურა კაიროში წლის განმავლობაში თანდათან იმატებს, კეიპტაუნში – იყლებს, ხოლო მომბასაში თითქმის არ იცვლება

(ბ) ჰაერის საშუალო ტემპერატურა კეიპტაუნში ყოველთვის აღემატება საშუალო ტემპერატურას კაიროში, მაგრამ ნაკლებია ჰაერის ტემპერატურაზე მომბასაში

(გ) მომბასაში ჰაერის საშუალო ტემპერატურა, კეიპტაუნთან შედარებით, ყოველთვის მეტია, კაიროსთან შედარებით კი – ყოველთვის ნაკლები

(დ) მომბასაში ჰაერის საშუალო ტემპერატურა, კეიპტაუნთან შედარებით, ყოველთვის მეტია, კაიროსთან შედარებით კი – არა


(ე) წლის დასაწყისში ჰაერის ტემპერატურის საშუალო მაჩვენებელი ყველაზე მაღალია მომბასაში, ყველაზე დაბალი – კაიროში, წლის ბოლოს კი პირიქით, ყველაზე მაღალი ტემპერატურა კაიროშია, ყველაზე დაბალი – მომბასაში

ამოცანები

91. ბანანის კვირის განმავლობაში 25%-ით გაძვირდა. ნანამ კვირის ბოლოს 20 ცალი ბანანი იყიდა. რამდენი ცალი ბანანის ყიდვას შეძლებდა ნანა იმავე თანხით კვირის დასაწყისში?

- (ა) 45
- (ბ) 35
- (გ) 30
- (დ) 25
- (ე) 15

92. პარალელოგრამი დაყოფილია ტოლ რომბებად, რომელთაგან ზოგიერთი გამუქებულია (იხ. ნახაზი).



$\frac{\text{პარალელოგრამის გაუმჯობელი ნაწილის ფართობი}}{\text{პარალელოგრამის გამუქებული ნაწილის ფართობი}} =$

- (ა) $\frac{1}{3}$
- (ბ) $\frac{1}{4}$
- (გ) $\frac{2}{5}$
- (დ) $\frac{3}{8}$
- (ე) $\frac{5}{9}$

93. ავტოსადგურიდან ავტობუსი 9.00 საათზე გავიდა, მიკროავტობუსი კი იმავე მიმართულებით – 9.30 საათზე. ორივე შეუფერხებლად, თანაბარი სიჩქარით მოძრაობდა: ავტობუსის სიჩქარე იყო 60 კმ/სთ, ხოლო მიკროავტობუსისა – 80 კმ/სთ. რამდენი კილომეტრის გავლის შემდეგ დაეწევა მიკროავტობუსი ავტობუსს?

- (ა) 70
- (ბ) 90
- (გ) 120
- (დ) 140
- (ე) 150

94. მოცემულია რიცხვების ორი სვეტი (იხ. ნახაზი).

პირველი სვეტის თითოეულ რიცხვს უმატებენ მეორე სვეტის თითოეულ რიცხვს. რამდენ განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ჭამს მიიღებენ სულ?

1	10
2	11
3	12
4	13
5	

- (ა) 6
- (ბ) 8
- (გ) 10
- (დ) 12
- (ე) 14

95. x და y ისეთი ნატურალური რიცხვებია, რომ $x - 4y$ კენტია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ლურჯი?

- (ა) $x + 2y$
- (ბ) $2x + 3y$
- (გ) $x - 2y$
- (დ) $2x - 2y + 1$
- (ე) $(x + 1)y + 1$


96. ბანკი კლიენტს წლის ბოლოს ურიცხავს ჩვეულებრივ ანაბარზე არსებული თანხის 4%-ს, ხოლო ვადიან ანაბარზე არსებული თანხის 12%-ს. გიამ თავისი თანხის $\frac{3}{4}$ ნაწილი ჩვეულებრივ ანაბარზე შეიტანა, დანარჩენი კი – ვადიან ანაბარზე. წლის ბოლოს ბანკმა გიას ორივე ანაბარზე ერთად 48 ლარი დაურიცხა. რამდენი ლარი შეუტანია გიას ორივე ანაბარზე ერთად?

- (ა) 800
- (ბ) 750
- (გ) 700
- (დ) 650
- (ე) 600

97. წესიერი ხუთკუთხედის ყველა წვერო წრეშირზე მდებარეობს. β ამ წრეშირის რადიუსებით შედგენილი კუთხეა (იხ. ნახაზი).

რამდენი გრადუსია β კუთხის სიდიდე?

- (ა) 108°
- (ბ) 120°
- (გ) 135°
- (დ) 144°
- (ე) 150°



98. რიცხვი x მეტია -1 -ზე, მაგრამ ნაკლებია 2 -ზე, ხოლო რიცხვი y მეტია -3 -ზე, მაგრამ ნაკლებია -2 -ზე. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს $x \cdot y$?

- (ა) $-10,4$
- (ბ) $-7,9$
- (გ) $-6,2$
- (დ) $4,8$
- (ე) $2,6$

99. საათის ციფერბლატზე წუთების მაჩვენებელი ისარი 30 წუთში 180° -ით შემობრუნდება. რა დრო დასჭირდება საათების მაჩვენებელი ისრის 105° -ით შემობრუნებას?

- (ა) 3 სთ 30 წთ
- (ბ) 3 სთ
- (გ) 2 სთ 30 წთ
- (დ) 2 სთ
- (ე) 1 სთ 30 წთ

100. p და q ისეთი ნატურალური რიცხვებია, რომ p -ს $(q+1)$ -ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი $(q-6)$ -ის ტოლია. რისი ტოლი იქნება $(2p+12)$ -ის $(q+1)$ -ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი?

- (ა) $q - 5$
- (ბ) $q - 4$
- (გ) $q - 3$
- (დ) $q - 2$
- (ე) $q - 1$